



International Behavior
Analysis Organization

Wise, Efficient, Effective

ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის IBAO ეთიკის პრინციპები

ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაცია

V100

Ethics Translators

Tamar Sekhniashvili, MA, BCBA, IBA

თამარ სეხნიაშვილი,

Gvantsa Chvamania MA, IBA

გვანცა ჩვამანია


Madonna Bonny, MS, BCBA, LBA, IBA

2020 წლის თებერვალში ქცევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო საბჭოს პროფესიულმა საკონსულტაციო საბჭომ დაარსა რამდენიმე კომიტეტი, თითოეულ მათგანს 2021 წლისთვის უნდა შეექმნა მოთხოვნების ცალკეული კომპონენტები ქცევის ანალიტიკოსებისთვის და ქცევის თერაპევტებისთვის. ერთ-ერთი ასეთი კომიტეტი გახლდათ ეთიკის საბჭო. ეთიკის საბჭო ინტენსიურად კითხულობდა, განიხილავდა და სწავლობდა სხვადასხვა საერთაშორისო და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შექმნილ ეთიკის კოდექსს და რეკომენდაციებს. ამ ცოდნის გამოყენებით შეიქმნა ეთიკის ისეთი დოკუმენტი, რომელიც კულტურული განსხვავებების მიუხედავად, საერთოა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლისთვის. აღსანიშნავია ეთიკის საბჭოს თითოეული წევრის შრომა, პროფესიონალიზმში და ძალისხმევა განუვლი სამუშაოს შესრულებაში.

ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ეთიკის საბჭოს წევრები:

ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ეთიკის საბჭოს წევრები:

- Jessica Kelly, M.S., BCBA, IBA – Switzerland
- Steffi Schuldt, Dipl. Psych., BCBA, IBA – Germany
- Hira Khan, M.Ed, RBT, IBT – Egypt/Pakistan
- Fan Yu Lin, Ph.D., BCBA-D, IBA – China
- Julianne Bell, MSc – UK, BCBA, IBA
- Alexandria Wiegand, MS, MBA, BCBA, IBA – Bahrain
- Akanksha Chhettri, MA, BCBA, IBA – Ghana
- Marija Stosic, M.A., SLP – Serbia
- Rachel Arnold, M.Ed – South Korea
- Veronica Sirbu, MA – Republic of Moldova
- Ross Leighner, MA, IBA – Australia
- Henriette Brandtberg, MSc Psych, IBA – Denmark
- Mohammed M. Al-Hammouri, Ph.D., IBA, CHPE, RN – Jordan
- Orsolya Ujhelyi-Illes, MS, BCBA, IBA – Hungary
- Michael M. Mueller, Ph.D., BCBA-D, IBA – United States




ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBAO) ეთიკის პრინციპები შედგება სამი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან: თავად ეთიკის პრინციპები, ეთიკური პრობლემის გადაჭრის მოდელი და დანართი, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა კულტურული თუ რეგიონალური მაგალითების გათვალისწინებით ეთიკური პრობლემის გადაჭრის მოდელის გამოყენების მაგალითები და ასევე თავად სახელმძღვანელოს შესაძლო ზოგიერთი ინტერპრეტაცია. ეთიკური დილემის გადაჭრის გზები ყოველთვის აშკარა არ არის და სხვადასხვა შემთხვევებში ზუსტად ერთნაირად ვერ გამოიყენებ. სერტიფიკატის მფლობელები ვალდებული არიან ესმოდეო და იყენებდნენ ეთიკურ პრინციპებს თავიანთი პროფესიული საქმიანობის ყველა ასპექტში.



ეთიკის
პრინციპები,



ეთიკური
პრობლემის
გადაჭრის
მოდელი



დანართი
მაგალითებით
და
ინტერპრეტაცია

პრეამბულა


წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის ეთიკურ პრინციპებს, რომელიც ქცევის საერთაშორისო ანალიტიკოსის და ქცევის საერთაშორისო თერაპევტის პრაქტიკულ საქმიანობას არეგულირებს. ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული სპეციალისტები ვალდებული არიან დაიცვან უმაღლესი ეთიკური სტანდარტი: საქმიანობისას, პროფესიული ურთიერთობებში და საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ეთიკური სტანდარტი უზრუნველყოფს საზოგადოების ადვილად მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერასა და დაცვას, ასევე ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროს რეპუტაციის შენარჩუნებასა და უმაღლესი ჰუმანურობის გამოხატვას. ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული სპეციალისტები პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ვალდებული არიან ყოველთვის დაიცვან ეთიკის პრინციპები.

ეთიკური პრინციპების გამოცემა წარმოადგენს დეკლარირებულ სტანდარტს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ყველა IBAO-ს მიერ სერტიფიცირებულმა პირმა. ჩვენი ძირითადი პრინციპების შესახებ საზოგადოების ინფორმირება აჩენს მოლოდინს რომ ეს პრონციპები დაცული იქნება თითოეული სპეციალისტის მიერ. ქცევის ანალიტიკოსები (IBA) და ქცევის თერაპევტები (IBT), დაიცავენ ეთიკურ სტანდარტებს პროფესიული გზის დაწყებიდანვე, სუპერვიზიისა და სრულიად სერტიფიცირების ციკლის დროს.

IBAO-ს ეთიკური პრინციპები წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც სხვადასხვა გარემოში და სიტუაციაში გამოიყენება. ეს პრონციპები მიმართულია დაიცვას: კლიენტის ინტერესები, ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროს, ქცევის ანალიტიკოსის და თერაპევტის საქმიანობა, ასევე ყველა დაინტერესებული მხარე. ქცევის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციამ ეთიკური პრობლემის გადაჭრის მოდელი როზენბერგის და შვარცის ნაშრომზე დაყრდნობით შეიმუშავა (2018). აბსოლუტური და უცვლელი ეთიკური პრონციპების გამოყენების ნაცვლად, სერტიფიცირებულმა სპეციალისტებმა უნდა იმოქმედონ საღი აზრით (უმაღლესი პიროვნული და ეთიკური კრიტერიუმების შესაბამისად), იმისათვის რომ გადანყვიტონ თუ როგორ მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც სხვადასხვა ეთიკური პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

წინამდებარე ეთიკური პრინციპების დაცვა სავალდებულოა. თუმცა მათი გამოყენების პროცესი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე და კონტექსტზე. ეთიკური პრობლემის გადაჭრის მოდელი წარმოდგენილია ეთიკური პრინციპების ბოლოს. თუ თქვენ გჭირდებათ კონკრეტული პრობლემის გადაჭრისთვის დახმარება, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესს გაითვალისწინებს შეგიძლიათ მიმართოთ ეთიკის საბჭოს და მიიღოთ ეთიკის კონსულტანტების სრულყოფილი დახმარება.

Rosenberg, N.E., Schwartz, I.S. Guidance or Compliance: What Makes an Ethical Behavior Analyst?. Behavior Analysis Practice 12, 473–482 (2018).



კლიენტის უფლებების და ღირსების ხელშეწყობა

- 1.1. სერტიფიკატის მფლობელი პირი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს კლიენტს და ყოველთვის იცავდეს მის ღირსებას. შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს კლიენტის სურვილებს და ყველა მომსახურება უნდა გაუწიოს თანაგრძნობით.
- 1.2. არ ავნო/კლიენტის დაცვა. ნებისმიერი მომსახურება და ინტერაქცია კლიენტთან უნდა იცავდეს კლიენტს ზიანისგან. სერტიფიკატის მფლობელი პირი პასუხისმგებელია მიაწოდოს კლიენტს ისეთი მომსახურება რაც კლიენტისთვის და მისი გარემოსთვის პოზიტიურ ცვლილებას უზრუნველყოფს და ემოციურ კეთილდღეობას გაზრდის.
- 1.3. ინტერვენციის დაგეგმვისას ჩარევა უნდა იყოს ეფექტური მაგრამ ნაკლებად ინვაზიური.
- 1.4. სერტიფიკანტის მფლობელმა უნდა გაითვალისწინოს მომსახურების რისკები და სარგებელი, სერვისში ჩართვამდე მიიღოს ინფორმირებული თანხმობა: ქცევის შეფასებისთვის, ქცევის ინტერვენციისთვის, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლისთვის, სერვისის ცვლილებისთვის, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერისთვის და მონაცემების გაზიარებისთვის.
- 1.5. სერტიფიკატის მფლობელი პირი პატივს სცემს კლიენტის კონფიდენციალობას და კლიენტის პირად ცხოვრებას. კონფიდენციალობა შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაში თუ: არსებობს კლიენტის უფლებების დარღვევის/ უგულვებელყოფის შესახებ ეჭვი, სამედიცინო აუცილებლობისას (მაგ., დიაგნოზის გამხელა სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროს), გარდაუვალი საფრთხის ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. თუ კანონი მოითხოვს კონფიდენციალობის დარღვევას, სერტიფიკატის მფლობელმა მხოლოდ რელევანტური ინფორმაცია უნდა გასცეს.
- 1.6. სერტიფიკატის მფლობელი პირი კლიენტის შესახებ ინფორმაციას ინახავს სულ მცირე 7 წელი ან ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით 7 წელზე მეტი. ეს მონაცემები შეიძლება იყოს ქცევის შეფასება, პირდაპირი დაკვირვების ჩანაწერი, თერაპიული სეანსის ჩანაწერი, ინტერვიუ მშობელთან/მეურვესთან და ა.შ. და ასევე ორგანიზაციასთან გაფორმებული ფინანსური და მომსახურების ხელშეკრულება/შეთანხმება. კლიენტს აქვს ჩანაწერებზე/ მონაცემებზე წვდომის უფლება და ამ მონაცემის გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის თანხმობის შემთხვევაში.

2. პატივი ეცით მრავალფეროვნებას

2.1 სერტიფიკატის მფლობელი პირი ხელს უწყობს ადამიანების თანასწორობას და თანასწორუფლებიანობას, მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანწყვეტილება უნდა მიიღოს, დისკრიმინაციის გარეშე - ასაკის, შებლუდული შესაძლებლობების, ეთნიკური მიკუთვნებულობის, სქესის, იდენტობის, სექსუალური ორიენტაციისა და სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად. სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია სამართლიანად და ინდივიდუალურად მიუდგეს კლიენტს და გაითვალისწინოს მისი საჭიროებები.

2.2 სერტიფიკატის მფლობელი პირი პატივს სცემს განსხვავებულ კულტურულ ტრადიციებს. კლიენტთან ან კოლეგებთან მუშაობისას გაგებითა და პატივისცემით ეკიდება მისთვის განსხვავებულ დამოკიდებულებებს. სერტიფიკატის მფლობელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას მიკერძოების გარეშე რომ ობიექტური მომსახურება მიანოდოს კლიენტს.

2.3 სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია იყოს ობიექტური და მაღალი სტანდარტის მომსახურება გაუწიოს კლიენტს მაშინაც, როცა კლიენტსა და მას შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებები. თუ რაიმე მიზეზით მაღალი სტანდარტის და ობიექტური სერვისის მიწოდება დადგება ეჭვის ქვეშ, სერტიფიკატის მფლობელმა უნდა განიხილოს საკუთარი შესრულებული სამუშაო.

3. კომპეტენცია და პროფესიული სრულყოფილება

3.1 სერტიფიკატის მფლობელი პირი გულწრფელი უნდა იყოს პროფესიულ ურთიერთობებში და სერვისის მიწოდებისას.

3.2 სერტიფიკატის მფლობელი პირი უზრუნველყოფს ინფორმაციის და სერვისების კეთილსინდისიერად მიწოდებას. მისი პროფესიული გადანწყვეტილებები გამომდინარეობს ქვევის თეორიებიდან და ეფუძნება კვლევის შედეგებსა და ობიექტურ მონაცემებს.

3.3 უსაფრთხოება პრიორიტეტულია. კლიენტის უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს მომსახურების განწევისას. თუ კლიენტს საფრთხე ექმნება სერტიფიკატის მფლობელმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს მომსახურება, მიიღოს ყველა საჭირო ზომა უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელოს მომსახურების განწევა. სერტიფიკატის მფლობელი პირი აცნობიერებს ქცევითი ინტერვენციების შესაძლო ლიმიტს.

3.4 სერტიფიკატის მფლობელი პირი მუშაობს მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. კლიენტს სთავაზობს მხოლოდ იმ სერვისს, რომელიც მის განათლებას და სუპერვიზიით მიღებულ გამოცდილებას შეესაბამება. თუ სერვისის მიწოდება მოითხოვს დამატებით ცოდნას და გამოცდილებას, სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ცოდნა და სუპერვიზია.

3. კომპეტენცია და პროფესიული სრულყოფილება (გაგრძელება)

3.5 კომპეტენციის ამაღლება/დახელოვნებისაკენ სწრაფვა. სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია გააუმჯობესოს ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული ცოდნა და ეთიკაზე დაფუძნებული სერვისის მიწოდება. ის განაგრძობს სწავლას და პროფესიული უნარების შენარჩუნებას უწყვეტი განათლების გზით. სერტიფიკატის მფლობელი სავალდებულო უწყვეტი განათლების გარდა ვალდებულია გაეცნოს სრულყოფილი სერვისის მიწოდებისთვის საჭირო ინფორმაციას რათა დარჩეს ეთიკურ ჩარჩოში.

3.6 სამეცნიერო პრაქტიკა. ქცევის გამოყენებითი ანალიზით სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას სერტიფიცირებული პირის ნებისმიერი გადანყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებას. მის მიერ განხორციელებული კვლევითი პროცედურა (ქცევის შეფასება, ინტერვენცია ა.შ.) უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ ქცევის გამოყენებითი ანალიზის თეორიას და გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურას. კვლევისათვის იყენებს, მხოლოდ ერთი შემთხვევის დიზაინს, რათა მიღებული მონაცემების ანალიზი შეესაბამებოდეს რელევანტურ პარამეტრებს.

4. მენეჯმენტი, სუპერვიზია, ტრენინგი

4.1 სერტიფიცირებული პირი, სუპერვიზორის როლში, როგორც სერტიფიცირებულ ისე სერტიფიცირების გარეშე პირს ემსახურება პატივისცემით, მზრუნველობით და სამართლიანად. სერტიფიცირებული პირი ზრუნავს ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროს განვითარებაზე, ხელს უწყობს კანდიდატს ჩამოყალიბდეს განათლებული და ეთიკური გამოცდილების მქონე სპეციალისტად.

4.2 სერტიფიცირებული პირი, მსოფლიოში ქცევის გამოყენებითი ანალიზის განვითარებისა და გავრცელების მიზნით მენტორობას და პროფესიულ ასისტირებას გონივრული ანაზღაურების სანაცვლოდ ახორციელებს. საქმიანობის ღირებულება განისაზღვრება იმ რეგიონის გათვალისწინებით, სადაც მოღვაწეობს ქცევის ანალიტიკოსი. განსაკუთრებით ქცევის ანალიტიკოსის და ქცევის თერაპევტისთვის სერტიფიცირების პირველ ეტაპზე.

4.3 სუპერვიზიით მომუშავე კანდიდატები იღებენ ცოდნას გადიან ტრენინგებს და აგროვებენ სუპერვიზიის საათებს IBAO-ს სტანდარტის შესაბამისად.

4.4 სერტიფიცირებული პირი, რომელიც ახორციელებს სუპერვიზიას, სუპერვიზიასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ ატყობინებს, როგორც კლიენტს ასევე ყველა დაინტერესებულ პირს.

4.5 სერტიფიცირებული პირი IBAO-ს მოთხოვნის შესაბამისად წარადგენს სუპერვიზიის დოკუმენტებს და შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ხელს აწერს კანდიდატის დოკუმენტაციას.

4.6 სერტიფიცირებული პირი კანდიდატს სუპერვიზიას უწევს მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

4.7 სერტიფიცირებული პირი ვალდებულია გასაგები ტერმინებით აუხსნას და მიუთითოს კანდიდატს თუ ის გამიზნულად ან გაუცნობიერებლად ახორციელებს არაეთიკურ ქცევას კანდიდატისთვის. არაეთიკური ქცევა უნდა აღმოიფხვრას ან დასრულდეს პროფესიული ურთიერთობა. სერტიფიცირებული პირი პასუხისმგებელია, რომ კანდიდატის საქმიანობა აკმაყოფილებდეს IBAO-ს სტანდარტს და/ან სასერტიფიკატოდ დასახულ მიზნებს.

5. სოციალური პასუხისმგებლობა

5.1 სერტიფიცირებული პირი საკუთარი პროფესიული საქმიანობის რეკლამირებისას მხოლოდ უტყუარ განცხადებას ავრცელებს და შესრულებული სამუშაოს მხოლოდ სწორ მონაცემებს წარმოადგენს პოტენციურ შედეგებთან შესაბამისობაში.

5.2 სერტიფიცირებული პირი კლიენტის უკუკავშირის ან საზოგადოებრივი აზრის რეკლამის მიზნით გამოყენებისას, ვალდებულია არ შეცვალოს ინფორმაცია და გაავრცელოს ინფორმაცია პირვანდელი უცვლელი სახით.

5.3 თუ სერტიფიცირებული პირი საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას მიმართავს საჯარო განცხადებებს, უნდა იყოს დარწმუნებული რომ მისი პროფესიული საქმიანობის ობიექტურად შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

5.4 თუ სერტიფიცირებული პირი საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისას იყენებს არასრულწლოვან კლიენტთა ფოტო ან ვიდეო მასალას მან უნდა გაითვალისწინოს კლიენტის უფლებები და ის თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ასეთი მასალის გასაჯაროებას კლიენტის ემოციურ მგომარეობაზე, სერტიფიცირებული პირი ვალდებულია დაიცვას კლიენტი, როგორც ანწყომში ასევე მომავალში ამ ზეგავლენისგან.

5.5 სერტიფიცირებული პირი საკუთარი პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ მხოლოდ უტყუარ და იმ დროისათვის დადასტურებულ ინფორმაციას ავრცელებს.

5.6 სერტიფიცირებული პირი საკუთარი ეთიკური ქცევის დემონსტრირებით ხელს უწყობს ეთიკური კულტურის განვითარებას და საჭიროებისამებრ ეხმარება სხვებს ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებაში.

5.7 სერტიფიცირებული პირი პასუხისმგებელია საკუთარ ქცევაზე სოციალურ ქსელებში. მისი აქტიობები სოციალურ ქსელებში უნდა შეესაბამებოდეს ეთიკურ პრინციპებს, მათ შორის გაითვალისწინოს კლიენტის უფლებები და კონფიდენციალობა.

5.8 სერტიფიცირებული პირი ატყობინებს კლიენტს თუ რა შესაძლებლობა არსებობს თავისი უკმაყოფილების გამოსათქმელად.

5.9 კლიენტის მხრიდან უკმაყოფილების გამოთქმის შემთხვევაში სერტიფიცირებული პირი ვალდებულია მიიღოს, გაიზიაროს და კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით გადაწყვიტოს ეს საკითხი.

5.10 სერტიფიკატის მფლობელი პირი IBAO-ს და სხვა ორგანიზაციების ინტელექტუალურ საკუთრებას ნებართვის გარეშე არ იყენებს. სხვისი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისას ეყრდნობა ადგილობრივ კანონმდებლობას. IBAO ინტელექტუალურ საკუთრების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გთხოვთ, მიმართეთ IBAO-ს მოცემულ მისამართზე to info@theibao.com.

6. პროფესიული ურთიერთობები

- 6.1 სერტიფიცირებული პირი სერვისის მიღებამდე განსაზღვრევას ვინ წარმოადგენს „კლიენტს“ და აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს. „კლიენტში“ იგულისხმება უშუალოდ სერვისის მიმღები პირი და არა დამფინანსებელი მხარე.
- 6.2 კლიენტი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც ქვევის ანალიტიკოსისგან (IBA) იღებს სერვისს. ორგანიზაციამ, კლიენტის როლში შეიძლება მიიღოს ისეთი მომსახურება, როგორც არის: პერსონალის გადამზადება, უსაფრთხო ქვევის წესების ტრენინგი, თანამშრომლების პროდუქტიულობის გაზრდისთვის განმტკიცების პრინციპებზე დაფუძნებული ტრენინგები და ა.შ.
- 6.3 სერტიფიცირებული პირი კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით აწვდის სერვისს. სერტიფიცირებული პირი არ ეწევა კლიენტის ექსპლუატაციას.
- 6.4 სერტიფიცირებული პირი აცნობიერებს რომ მრავალმხრივი ურთიერთობები შეიძლება იყოს პრობლემის შემცველი და სერვისის ობიექტურად მიწოდებას შეიძლება შეექმნას საფრთხე. სერვისის მიწოდებისას თუ მრავალმხრივი ურთიერთობები არსებობს სერტიფიცირებული პირი ვალდებულია აცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციის და სერვისის მიწოდებაზე შესაძლო გავლენის შესახებ. თუ ობიექტურად სერვისის მიწოდებას ექმნება საფრთხე უნდა გადაიხედოს პროფესიული ურთიერთობები.
- 6.5 სერტიფიცირებული პირი პატივს სცემს და იცავს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ხელშეკრულებით/ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს დამსაქმებელთან, და მომსახურების განწევასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.
- 6.6 სერტიფიცირებული პირი თანამშრომლობს სხვა დისციპლინის წარმომადგენლებთან კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.
- 6.7 სერტიფიცირებული პირი ვალდებულია სერვისის მიწოდებამდე კლიენტთან ან სხვა დაინტერესებულ მხარესთან შეათანხმოს მომსახურების საფასური, ფინანსური შეთანხმება და სხვა რელევანტური ფინანსური ასპექტები.
- 6.8 სერტიფიცირებული პირი აპროტესტებს ინდივიდის და ორგანიზაციის არაკომპეტენტურ ქვევას. პროტესტი შეიძლება იყოს სიტყვიერი ან წერილობითი. სერტიფიცირებული პირი ახორციელებს ბემოთაღნიშნულ ქმედებას ქვევის გამოყენებითი ანალიზის რეპუტაციის შენარჩუნებისთვის საზოგადოების თვალში.
- 6.9 სერტიფიცირებული პირი სხვადასხვა გზებით იცავს პროფესიულ საზღვრებს:
- ა. სერტიფიცირებული პირი არ ამყარებს სექსუალურ კავშირს უშუალოდ სერვისის მიმღებ ინდივიდთან მომსახურების დასრულებიდან მინიმუმ 2 წელის განმავლობაში.
 - ბ. სერტიფიცირებული პირი არ ამყარებს სექსუალურ კავშირს ინდივიდთან რომელიც არის კლიენტის კანონიერი წარმომადგენელი ან არის დაინტერესებული მხარე.
 - გ. სერტიფიცირებული პირი არ ამყარებს სექსუალურ კავშირს კლიენტის როლში წარმოდგენილ ორგანიზაციაში მომუშავე პირთან მომსახურების დასრულებამდე.

7. სერტიფიცირებული პირის საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობა

7.1 წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად სერტიფიცირებული პირისთვის საკუთარ ინტერესებზე პრიორიტეტულია: საზოგადოების ინტერესი, კლიენტის ინტერესი, ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი და ქცევის გამოყენებითი ანალიზის როგორც სფეროს ინტერესი. გადანყვეტილების მიღებისას ქცევის ანალიტიკოსმა უნდა იხელმძღვანელოს ზემოთ წარმოდგენილი რიგითობის მიხედვით.

7.2 სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია შეინარჩუნოს ობიექტურობა სერვისის მიწოდებისას და პროფესიულ ურთიერთობებში, თუ ის ვერ ინარჩუნებს ობიექტურობას მასი პასუხისმგებლობაა გააცნობიეროს არსებული სიტუაცია და იპოვოს პრობლემის გადაჭრის ისეთი გზები, რომელიც დაიცავს: კლიენტს, ყველა დაინტერესებულ მხარესა და ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროს.

7.3 ობიექტურობის დარღვევის შემთხვევაში სერტიფიცირებული პირი ვალდებულია: გადაამისამართოს ან აღეტერნატიული სერვისის მიმწოდებელი შესთავაზოს კლიენტს. ასევე გამოცდილი ქცევის ანალიტიკოსისგან მიიღოს კონსულტაცია.

8. კვლევა(სამეცნიერი-კვლევითი საქმიანობა) და პუბლიკაცია

8.1 სამეცნიერი კვლევითი საქმიანობამდე სავალდებულოა ყველა მონაწილისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება და კვლევის პროცესში ყველა მონაწილის კონფიდენციალობის დაცვა.

8.2 კვლევის მონაწილეებს უნდა მიეცეთ განმარტება მათი ჩართულობის შესახებ და ინფორმაცია რომ მათ შეუძლიათ კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა ნებისმიერი მიზეზით.

8.3 კვლევის დასრულების შემდეგ მონაწილეებს უნდა ეცნობოთ შედეგების შესახებ.

8.4 კვლევითი პროექტი უნდა დამტკიცდეს ეთიკის საბჭოს ან შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციის მიერ იქამდე ვიდრე მოხდება მონაწილეების შერჩევა.

8.5 ნაშრომის პუბლიკაციისას კვლევის ავტორების გვარების რიგითობა წამოდგენილი უნდა იყოს მათი კვლევაში გაწეული სამუშაოს მიხედვით.

8.6 მონაცემები უნდა იყოს წარმოდგენილი სიზუსტით, როგორც პრაქტიკული მუშაობისას ასევე კვლევის შედეგების წარმოდგენისას.

8.7 სერტიფიცირებული პირი საკუთარი სახელით მხოლოდ იმ სამუშაოს წარმოადგენს, რომელიც მან თავად შეასრულა. სხვა წყაროების ციტირება ხორციელდება ქცევის გამოყენებით ანალიზში არსებული სტანდარტის შესაბამისად და ქვეყნდება იმ ქვეყნის ფსიქოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ შეთანხმებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში სადაც ჩატარდა კვლევა.

პრობლემის გადაჭრის ეთიკური მოდელი

ეთიკური საკითხების მოგვარება პრობლემის გადაჭრის მოდელის მიხედვით?

ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული ინტერვენციის პროცესში შესაძლებელია წარმოიშვას გარკვეული სიტუაცია, როდესაც სერტიფიცირებულმა პირმა არ იცის ზუსტად როგორ იმოქმედოს რადგან სხვადასხვა ეთიკური პრინციპები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. არსებული დილემის გადაჭრისთვის სერტიფიცირებულმა პირმა უნდა გამოიყენოს როზენბერგისა და შვარცის(2018) ნაშრომზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრის მოდელი. ეს მოდელი მოიცავს: პრობლემის იდენტიფიცირებას, შესაძლო გადაწყვეტილების პოვნას, მიღებული გადაწყვეტილების განხილვას და განხორციელებას.

ეთიკური დილემის დროს, სერტიფიცირებულმა პირმა უნდა შეძლოს:

- 1) პრობლემის არსებობის გაცნობიერება გარკვევა რომელი ეთიკური პრინციპებია ერთმანეთთან წინააღმდეგობაში.
- 2) პრობლემის განხილვა კოლეგებთან, კლიენტთან, ან კანონიერ წარმომადგენელთან
- 3) პრობლემის გადაჭრის გზების ძიება
- 4) მიღებული გადაწყვეტილების განხილვა და შეთანხმება კლიენტთან, კოლეგებთან და კლიენტის კანონიერ წარმომადგენელთან.
- 5) არჩეული გადაწყვეტილების განხორციელება
- 6) მიღებული გადაწყვეტილების და შედეგების განხილვა და გაზიარება პროცესში მონაწილე ყველა მხარესთან

გადავჭრათ ეთიკური პრობლემები პრობლემის გადაჭრის ეთიკური მოდელის გამოყენებით

მაგალითად, ქვევის ანალიტიკოსი იყენებდა ქვევის მართვის ბაზისურ პროგრამას, კლიენტის აგრესიული ქვევის შესამცირებლად. აგრესიული ქვევის ფუნქცია იყო დავალებისგან გაქცევა. სპეციალისტი იყენებდა დახმარების 3 საფეხურიან პროცედურას გაქცევის ქვევის დაბლოკვის მიზნით, შედეგად ბავშვმა დაიწყო ხმამაღლა ტირილი - გამოავლინა ახალი ქვევა რომელიც ამ შემთხვევამდე ბავშვს ქვევის რეპერტუარში არ ქონია.

ქვევის ანალიტიკოსი თვლის რომ ეთიკური დილემის წინაშე დგას, მან გადაწყვიტა დასაწყისისთვის გამოიყენოს პრობლემის გადაჭრის მოდელის **პირველი ნაბიჯი**: პრობლემის არსებობის გაცნობიერება, რათა გაარკვიოს რომელი ეთიკური პრინციპებია ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. ქვევის ანალიტიკოსი თვლის რომ წინააღმდეგობა წარმოიშვა ორ ეთიკურ პრინციპს: „არ ავნო“-სა და „მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციის გამოყენება“-ს შორის, რაც განმტკიცების პროცედურაზე დაფუძნებული ინტერვენციის გამოყენებას გულისხმობს არასასურველი ქვევის მართვისას. წარმოდგენილი ორივე პრინციპი არის სამართლიანი და ობიექტური, თუმცა მოცემულ სიტუაციაში ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

მეორე ნაბიჯის მიხედვით, ქვევის ანალიტიკოსი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია კოლეგებთან, კლიენტთან და კლიენტის კანონიერ წარმომადგენელთან. ანალიტიკოსი საუბრობს კოლეგებთან არსებულ სიტუაციაზე და უყვება მათ თავისი დამიკვიდებულების შესახებ პრობლემასთან მიმართებაში. კოლეგებთან დიალოგისას ქვევის ანალიტიკოსი გადადის პრობლემის გადაჭრის **შესამე ნაბიჯზე**, პრობლემის გადაჭრის გზების ჩამოთვლაზე. პრობლემის გადაჭრის გზები რამდენიმეა და მოიაზრებს: ა. არსებული ინტერვენციის შეწყვეტას და სხვა პროცედურის გამოყენებას; ბ. არსებული ინტერვენციის სრულად შეწყვეტას და მოსწავლისთვის გაქცევის საშუალების მიცემა; გ. არსებული ინტერვენციის გაგრძელებას;

მეოთხე ნაბიჯი., ქვევის ანალიტიკოსი განიხილავს ყველა შესაძლო გამოსავალს. პირველი ვარიანტის განხილვისას- ახალი ინტერვენციის გამოყენების შემთხვევაში, ქვევის ანალიტიკოსმა უნდა შეაფასოს დრო, რომელიც დასჭირდება ახალი ინტერვენციის შექმნას, მისი გამოყენებისთვის თანხმობის მიღებას და ახალი ინტერვენციის განხორციელებისთვის პერსონალის გადაშვებას. ანალიტიკოსი ითვალისწინებს, იმასაც რომ შესაძლოა ახალმა ინტერვენციამ იგივე პრობლემები გამოწვიოს და იგივე დილემის წინაშე აღმოჩნდეს, რაც საბოლოოდ ინტერვენციას გადაავადებს. ამის შემდეგ გადადის მეორე გადაწყვეტილების განხილვაზე: ინტერვენციის შეწყვეტა. და ეს გადაწყვეტილება მიიყვანს იქმდე რომ ბავშვის ტირილი შემცირდება თუმცა არ შემცირდება ბავშვის აგრესია გარშემომყოფებისადმი. ამას გარდა ამ გადაწყვეტილებას მოცემული შემთხვევა სხვა ეთიკური პრინციპების დარღვევამდე მიჰყავს. საბოლოოდ, ქვევის ანალიტიკოსი განიხილავს შესამე გზას- არსებული ინტერვენციის გაგრძელება. კოლეგებისა და საკუთარი გამოცდილებით ქვევის ანალიტიკოსმა იცის რომ გაქცევის ქვევის დროს ჩაქრობის პროცედურის გამოყენებისას ხშირია მსგავსი უარყოფითი ემოციური რეაქცია. ამას გარდა ასეთი რეაქცია დიდი ხანი არ ნარჩუნდება თუ ინტერვენციის დროს იყენებენ განმტკიცების პროცედურასაც. შედეგად სერტიფიცირებული პირი მიდის გადაწყვეტილებამდე, რომ პრინციპი „არ ავნო“ არ ნიშნავს „არასდროს შეუქმნა დისკომფორტი“. კლიენტისთვის უფრო მეტი ზიანის მომტანია თუ აგრესიული ქვევის გამოვლენის გამო ის სწავლის შესაძლებლობას დაკარგავს.

გადავჭრათ ეთიკური პრობლემები პრობლემის გადაჭრის ეთიკური მოდელის გამოყენებით

ნაბიჯი 5. ქცევის ანალიტიკოსი იწყებს არჩეული ინტერვენციის განხორციელებას და ასრულებს ინტერვენციას პროცედურული სიზუსტით.

ნაბიჯი 6: ჩარევის შემდეგ ქცევის ანალიტიკოსი აფასებს საკუთარ ქცევას და გადანწყვეტილებას, იყო თუ არა მართებული. ჩარევის შემდეგ შემცირდა თუ არა აგრესიული ქცევა - კლიენტის ყვირილი. შესაბამისად, ინტერვენციის მიზნები მიღწეულია. ქცევის ანალიტიკოსი აკეთებს დასკვნას რომ მისი გადანწყვეტილება იყო მართებული, ის ბედნიერია და აცნობიერებს რომ სწორად გამოიყენა პრობლემის გადაჭრის მოდელი.